| შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა | ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ |
|---|---|
| საქართველოს ეროვნული<br>არქივის გენერალური<br>დირექტორი თ. იაშვილი<br>„16" „12" 2022წ. | აჭარის არ განათლების, კულტურისა და<br>სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო<br>დაწესებულება _ საარქივო სამმართველოს<br>უფროსი მ. ივანიშვილი<br>„9" „ 2022წ. |

## საარქივო სამმართველოს 2023 წლის სამუშაო გეგმა

| #<br># | სამუშაოს დასახელება | საზომი ერთეული | წლიური | სამუშაოს მოცულობა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | კვარტალური | | | |
| | | | | I | II | III | IV |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | I დოკუმენტების დაცვა და შენახვა | | | | | | |
| 1 | ა)საქმეთა შეკერვა | შეს.ერთ | 36 008 | 8073 | 8092 | 10142 | 9701 |
| | ბ)საქმეთა მარტივი რესტავრაცია | ფურც. | 18913 | 4729 | 4728 | 4728 | 4728 |
| 2 | განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტების გამოვლენა (საქმეთა გადათვალიერება) | შეს.ერთ | 59 | - | - | 59 | - |
| | ა)ფოტოდოკუმენტი | შეს.ერთ | 200 | 100 | 100 | - | - |
| 3 | დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება | შეს.ერთ | 27 623 | 5970 | 5991 | 8111 | 7551 |
| | ა)მმართველობითი | შეს.ერთ | 26 208 | 5618 | 5639 | 7759 | 7192 |
| | ბ) პირადი შემადგენლობის | შეს.ერთ | 1415 | 352 | 352 | 352 | 359 |
| | ა)ფოტოდოკუმენტი | შეს.ერთ | 500 | 125 | 125 | 125 | 125 |
| 4 | II დოკუმენტების საინფორმაციო-საძიებო სისტემის შექმნა და განვითარება | შეს.ერთ | - | | | | |
| | დოკუმენტების აღწერა | | | | | | |
| | ა)მმართველობითი დოკუმენტაციის | შეს.ერთ | - | - | - | - | - |
| | ბ)პირადი წარმოშობის დოკუმენტების | შეს.ერთ | - | - | - | - | - |
| | გ)ფოტოდოკუმენტების | შეს.ერთ | 1000 | 500 | 500 | - | - |
| | დ)პირადი შემადგენლობის დოკუმენ-ტების | შეს.ერთ | - | - | - | - | - |
| | ე) სამეცნიერო-ტექნიკური | შეს.ერთ | - | - | - | - | - |

| 1 | 2 | 3 | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | დოკუმენტების ანაწერების გადამუშა-ვება | შეს.ერთ | 3208 | 592 | 901 | 809 | 906 |
| | ა)მმართველობითი დოკუმენტაციის | შეს.ერთ | 2297 | 548 | 572 | 565 | 612 |
| | ბ)პირადი წარმოშობის დოკუმენტებ. | შეს.ერთ | - | - | - | - | - |
| | გ)ფოტოდოკუმენტების | შეს.ერთ | - | - | - | - | - |
| | დ)პირადი შემადგენლობის | შეს.ერთ | 911 | 44 | 329 | 244 | 294 |
| | ე)ფონოდოკუმენტი | შეს.ერთ | | | | | |
| 6 | დოკუმენ-ტების დოკუმენტების კატალოგიზაცია | შეს.ერთ | - | - | - | - | - |
| | ა)მმართველობითი დოკუმენტაციის | შეს.ერთ | | | | | |
| | ბ)პირადი წარმოშობის დოკუმენტების | შეს.ერთ | | | | | |
| | გ)ფოტოდოკუმენტების | შეს.ერთ | | | | | |
| 7 | III - ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირება | | | | | | |
| | დოკუმენტების მიღება | შეს.ერთ | | | | | |
| | ა)მმართველობითი დოკუმენტაციის | შეს.ერთ | 3054 | 593 | 677 | 757 | 1027 |
| | ბ)პირადი წარმოშობის დოკუმენტების მოქალაქეებისგან | შეს.ერთ | - | - | - | - | - |
| | გ)ფოტოდოკუმენტების | შეს.ერთ | 1700 | - | 850 | 850 | - |
| | დ)პირადი შემადგენლობის დოკუმენ-ტების | შეს.ერთ | 718 | 131 | 196 | 186 | 205 |
| 8 | დოკუმენტების მიზნობრივი შემფა-სებელი ექსპერტიზა (გადათვალიერება) | შეს.ერთ | 1083 | 256 | 256 | 256 | 315 |
| | ა)მმართველობითი დოკუმენტაციის | | | | | | |
| | ბ) ფოტოდოკუმენტების | შეს.ერთ | - | - | - | - | - |
| | გ) პირადი შემადგენლობის დოკუმენ- | შეს.ერთ | - | - | - | - | - |
| | ტების | შეს.ერთ | 1083 | 256 | 256 | 256 | 315 |
| 9 | საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დაწესებულებების, ორგანიზაცი-ებისა და საწარმოების საქმეთა ანაწერების დამტკიცება (შეთანხმება) | | | | | | |
| | ა)მუდმივად შესანახი დოკუმენტების | | | | | | |
| | ბ)პირადი შემადგენლობის დოკუმენ- | შეს.ერთ | 3054 | 593 | 677 | 757 | 1027 |
| | ტების | შეს.ერთ | 718 | 131 | 196 | 186 | 205 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გ)პირადი წარმოშობის<br>დ)ფოტოდოკუმენტი | შეს.ერთ<br>შეს.ერთ | -<br>1750 | -<br>- | -<br>862 | -<br>851 | -<br>37 |
| | IV დოკუმენტების გამოყენება | | | | | | |
| 10 | დოკუმენტების გამოფენების ორგანიზაცია | გამოფენ | 4 | 1 | - | 1 | 2 |
| 11 | რადიო და ტელე გადაცემების მომზადება | გადაცემ | 2 | 1 | 1 | - | - |
| 12 | სტატიებისა და დოკუმენტების გამოქვეყნება | პუბლიკ აცია | 6 | 2 | 2 | 1 | 1 |
| 13 | ექსკურსიებისა და გაკვეთილის ჩატარება | ღონისძ იება | 10 | - | 1 | 5 | 4 |
| 14 | საინიციატივო ინფორმაციის მომზადება | ინფორმ აცია | 1 | - | - | - | 1 |
| 15 | ჟურნალ ,,არხეიონ˜-ის გამოცემა | ჟურნალ | 1 | - | - | - | 1 |
| 16 | თემატური ნუსხების მომზადება | _ | 2 | - | - | 1 | 1 |
| 17 | კონფერენციის მასალების კრებულის მომზადება-გამოცემა | _ | - | - | - | - | - |
| 18 | ღონისძიებების მომზადება-ჩატაება | ღონისძ. | 4 | 1 | 2 | - | 1 |
| 19 | 2023 წლის ანგარიშის ბუკლეტის მომზადება | ბუკლეტ ი | 1 | - | - | - | 1 |
| 20 | საქმეთა დიგიტალიზაცია:<br>ა)სკანირება<br>ბ) რედაქტირება | გვერდი<br>,,--,, | 2.300 000<br>,,--,,<br>,,--,, | 575 000<br>,,--,,<br>,,--,, | 575000<br>,,--,,<br>,,--,, | 575000<br>,,--,,<br>,,--,, | 575000<br>,,--,,<br>,,--,, |
| | | | | | | | |

სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გ)პირადი წარმოშობის<br>დ)ფოტოდოკუმენტი | შეს.ერთ<br>შეს.ერთ | -<br>1750 | -<br>- | -<br>862 | -<br>851 | -<br>37 |
| | IV დოკუმენტების გამოყენება | | | | | | |
| 10 | დოკუმენტების გამოფენების ორგანიზაცია | გამოფენ | 4 | 1 | - | 1 | 2 |
| 11 | რადიო და ტელე გადაცემების მომზადება | გადაცემ | 2 | 1 | 1 | - | - |
| 12 | სტატიებისა და დოკუმენტების გამოქვეყნება | პუბლიკ აცია | 6 | 2 | 2 | 1 | 1 |
| 13 | ექსკურსიებისა და გაკვეთილის ჩატარება | ღონისძ იება | 10 | - | 1 | 5 | 4 |
| 14 | საინიციატივო ინფორმაციის მომზადება | ინფორმ აცია | 1 | - | - | - | 1 |
| 15 | ჟურნალ ,,არხეიონ˜-ის გამოცემა | ჟურნალ | 1 | - | - | - | 1 |
| 16 | თემატური ნუსხების მომზადება | _ | 2 | - | - | 1 | 1 |
| 17 | კონფერენციის მასალების კრებულის მომზადება-გამოცემა | _ | - | - | - | - | - |
| 18 | ღონისძიებების მომზადება-ჩატაება | ღონისძ. | 4 | 1 | 2 | - | 1 |
| 19 | 2023 წლის ანგარიშის ბუკლეტის მომზადება | ბუკლეტ ი | 1 | - | - | - | 1 |
| 20 | საქმეთა დიგიტალიზაცია:<br>ა)სკანირება<br>ბ) რედაქტირება | გვერდი<br>,,--,, | 2.300 000<br>,,--,,<br>,,--,, | 575 000<br>,,--,,<br>,,--,, | 575000<br>,,--,,<br>,,--,, | 575000<br>,,--,,<br>,,--,, | 575000<br>,,--,,<br>,,--,, |
| | | | | | | | |

სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება _ საარქივო სამმართველოს და მისი ტერიტორიული ორგანო _ არქივების 2023 წლის ძირითად ღონისძიებათა გეგმის

## განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება _ საარქივო სამმართველოს და მისი ტერიტორიული ორგანო _ არქივების 2023 წლის ძირითადი ღონისძიებათა გეგმა შედგენილია საქართველოს ეროვნული არქივის მიერ შემუშავებული საარქივო დაწესებულებების მუშაობის დაგეგმვის რეკომენდაციებით და მითითებით.

ღონისძიებათა გეგმა მოიცავს საარქივო დარგის განვითარების ძირითად მიმართულებებს კერძოდ: დოკუმენტების შენახვის უზრუნველყოფას, განსაკუთრებულად ღირებულების მქონე დოკუმენტების გამოვლენას, დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმებას, სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნას და უზრუნველყოფას, დოკუმენტების შემფასებელ ექსპერტიზას, დოკუმენტების ანაწერების გადამუშავებას, მიზნობრივ ექსპერტიზას, ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირებას, უწყებებში დოკუმენტების შენახვას და საქმისწარმოების ორგანიზაციას, დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებას, საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ვერსიებზე გადაყვანას (დიგიტალიზაცია), გამოყენებას და პუბლიკაციას, სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას, მატერიელური-ტექნიკური ბაზის განვითარებას.

საორგანიზაციო და ანალიტიკური მუშაობის დარგში საარქივო სამმართველოს და მისი ტერიტორიული ორგანო _ არქივების (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) თანამშრომლებისთვის 2023 წლისათვის გაგრძელება ,,ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივების შესახებ˜ საარქივო კანონისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მეთოდური სწავლება. ტერიტორიული ორგანო _ არქივების საექსპერტო კომისიების დებულების გაახლება. დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებებში შენახვის ზღვრული ვადებით დადგენილი ვადის ზევით დაცული დოკუმენტების ექსპერტიზის, ლიკვიდირებული ორგანიზაციების, დაწესებულებების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკურად წესრიგში მოყვანისა და შესაბამის არქივში ჩასაბარებლად _ შესწავლისა და პრაქტიკაში გამოყენების

განხორციელების მიზნით. დასრულდება მუშაობა დაკომპლექტების წყარო დაწესებულებათა სიების დამტკიცებისა და შევსებისათვის, გაგრძელდება მუშაობა იშვიათად გამოსაყენებელ საარქივო ფონდის გამოსავლენად.

საარქივო სამმართველოს 2023 წლის გეგმით გათვალისწინებულია ვებ-გვერდის შევსება, მისი შესაძლებლობების გაზრდა, ფოტოების შერჩევა-განთავსება, ღირსახსოვარი დღეების აღნიშვნის, გამოფენის მოწყობის, კონფერენციების ჩატარების, სამმართველოს გაზეთის გამოცემა, უცხო ქვეყნის და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო არქივებში აჭარის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების ქსეროასლების მოძიება და შემოტანის ორგანიზება, ჟურნალ ,,არხეიონი˜-ს 1 ნომრის მომზადება გამოცემა, ბუკლეტის მომზადება-გამოცემა,საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან შეხვედრების გამართვა, საზღვარგარეთის ქვეყნების არქივებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება და ერთობლივი ღონისძიებების მოწყობა, საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანო _ არქივებში ლოკალური ქსელის მონტაჟი, მართვა და განვითარება, სასერვისო სისტემის პროექტირება, განვითარება და სხვა.

## I_ დოკუმენტების დაცვა და შენახვა

1. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვისა და შენახვის უზრუნველსაყოფად, დაგეგმილია 2023 წელს ყდაში ჩასმა-ჩაკერება ჩაუტარდეს სულ 36 008 შ/ერთეულს. მათ შორის საარქივო სამმართველოში 25 381 შ/ერთეულს, სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო _არქივებში 10 627 შ/ერთეულს (დანართი №1.1.ა). ხოლო მარტივი რესტავრაცია ჩაუტარდება ქაღალდსაფუძვლიანი 159 საქმის 18913 ფურცელს (დანართი №1.1.ბ).

2. განსაკუთრებულად ღირებულების მქონე დოკუმენტების გამოვლენა

განსაკუთრებულად ღირებულების მქონე დოკუმენტების გამოვლენის მიზნით გადათვალიერდება სულ 59 შ/ერთეული, საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივში დაცული ფონდი №რ-332 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. 2011-2012 წლები. (დანართი №1.2.).

3.დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება

2023 წელს, დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდება სულ 99 ფონდის 27 623 შ/ერთეულს. მათ შორის საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივში დაცული 26 ფონდის 16 101 შ/ერთეულის 1.500 000 ფურცელს. ხოლო, სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს არქივებში 73 ფონდის 11 522 შ/ერთეულის 385 448 ფურცელს (დანართი1.3.)

არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება 2023 წელს ჩაუტარდება 500 ფოტოდოკუმენტს.

### II _ დოკუმენტების საინფორმაციო _ საძიებო სისტემის შექმნა და განვითარება

4. დოკუმენტების საინფორმაციო-საძიებო სისტემის განვითარების მიზნით, აჭარის არ საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივში და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში ქაღალდისფუძიანი დოკუმენტების და ფოტოდოკუმენტების აღწერა 2023 წლისთვის არ იგეგმება.

2023 წელს იგეგმება 1000 ფოტოდოკუმენტის აღწერა.(დანართი №II.4..გ.).

### 5. დოკუმენტების ანაწერების გადამუშავება

აჭარის არ საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივსა და ტერიტორიული ორგანოს არქივებში, ფონდების ანაწერების გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდება სულ 17 ფონდის 3208 შ/ერთეულს, აქედან სულ მმართველობითი ხასიათის 12 ფონდის 2297 საქმეს, პირადი შემადგენლობის 5 ფონდის 911 საქმეს. მათ შორის საარქივო სამმართველოში გაუმჯობესება - გადამუშავება ჩაუტარდება მმართველობითი ხასიათის 6 ფონდის 1996 საქმეს, ტერიტორიულ ორგანოს არქივებში სულ 11 ფონდის 1212 საქმეს, აქედან მმართველობითი ხასიათის 8 ფონდის 301 საქმეს, პირადი შემადგენლობის 3 ფონდის 911 საქმეს (დანართი II5.ა.დ). 2023 წელს ფოტოდოკუმენტების ანაწერების გაუმჯობესება-გადამუშავება არ იგეგმება.(დანართი II.5.გ).

სამმართველოს ცენტრალური არქივის შესაბამისი განყოფილება 2023 წლის აპრილამდე _ თანახმად ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის 2009 წლის ნოემბრის №61-ძს ბრძანებით დამტკიცებული წარსადგენი საგეგმო, საანგარიშო და სააღრიცხვო დოკუმენტაციის ტაბელისა, ვადაში მომზადდება სტატისტიკური ანგარიშები _ საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიული ორგანოს არქივებში, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვის ორგანიზაციის შესახებ

(ფორმა №3 არქივის პასპორტი) და ცნობა არქივში დაცული ფონდების შემადგენლობისა და რაოდენობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

## III _ ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირება

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივში და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში 2022 წლისთვის დაგეგმილია სულ 3772 ს/ერთეულის მიღება, მათ შორის მმართველობითი 3054 საქმე (ტექნიკური 1836 საქმე), პირადი შემადგენლობის 718 საქმე. საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივში მიღებული იქნება სულ 2892 საქმე, მათ შორის მმართველობითი ხასიათის 2369 საქმე, პირადი შემადგენლობის 523 საქმე, ხოლო ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მიღებული იქნება სულ 880 საქმე, აქედან მმართველობითი ხასიათის 685 საქმე, პირადი შემადგენლობის 195 საქმე. (დანართი III.7.ა.ბ.დ.)

ასევე 2023 წელს სახელმწიფო შენახვაზე მიღებული იქნება სულ 1750 შესანახი ფოტოდოკუმენტი, მათ შორის სამმართველოს ცენტრალურ არქივში 1700 ფოტოდოკუმენტი, ტერიტორიულ ორგანოს არქივებში 50 ფოტოდოკუმენტი. (დანართი III.7.გ.).

2023 წელს დაგეგმილია სულ 24 დაწესებულება-ორგანიზაციის საქმეთა მეცნიერულ-ტექნიკურიდ დამუშავება: სამმართველოს მიერ 11 ორგანიზაცია და ტერიტორიული ორგანოს არქივების მიერ დამუშავდება 13 ორგანიზაცია (დანართი III.7.ე).

**საქართველოს ეროვნული არქივის დავალებით განხორციელდება საარქივო საქმისა და საქმისწარმოების მდგომარეობის შემოწმება და შემოწმების ცნობები წარმოდგენილი იქნება 2023 წლის 1 ოქტომბრისთვის.**

### 8. მიზნობრივი შემფასებელი ექსპერტიზა.

2023 წელს მიზნობრივი შემფასებელი ექსპერტიზა ჩაუტარდება პირადი შემადგენლობის სულ 9 ფონდის 1083 შ/ერთეულს.

სამმართველოს ცენტრალურ არქივში მიზნობრივი ექსპერტიზა ჩაუტარდება პირადი შემადგენლობის 3 ფონდის 65 შ/ერთეულს, ხოლო ტერიტორიული ორგანოს არქივებში სულ 6 ფონდის 1018 შ/ერთეულს, (დანართი III. 8.ა.გ.).

პირადი შემადგენლობის საქმეთა ექსპერტიზის დროს გასანადგურებლად შეირჩევა ფონდში არსებული 75 წლიანი ვადაგასული საქმეები, დუბლირებული საქმეები და ის დოკუმენტები, რომლებსაც ნუსხის მიხედვით გასული აქვს შენახვის ვადა. მიზნობრივი ექსპერტიზა ჩაუტარდება ასევე სამმართველოს ცენტრალურ არქივსა და ტერიტორიული ორგანოს არქივებში შემოტანილი ლიკვიდირებულ დაწესებულება-ორგანიზაციების დაუმუშავებელ დროებით შესანახ საქმეებს.

2023 წლისთვის ფოტოდოკუმენტის მიზნობრივ შემფასებელი ექსპერტიზა არ იგეგმება (დანართი III.8.ზ).

საქართველოს ეროვნული არქივის მიერ შედგენილი დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების სანიმუშო სიების საფუძველზე, დაზუსტდება საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიული ორგანოს არქივების დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებათა კონკრეტულ სიებში და მონაცემები 2023 წლის 1 მაისისთვის წარდგენილი იქნება საქართველოს ეროვნულ არქივში.

**9. საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ 2023წელს დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმეთა ანაწერების დამტკიცება (შეთანხმება)**

საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ 2023 წელს განხილული იქნება სულ 3772 საქმეთა ერთეული, მათ შორის: მმართველობითი 3054 საქმე, პირადი შემადგენლობის 718 საქმე და ფოტოდოკუმეტი 1750 შ/ერთეული.

განხილული იქნება საქმეთა ნომენკლატურები, საუწყებო არქივისა და საექსპერტო კომისიების დებულებები.

2023 წელს გაგრძელდება მუშაობა დაკომპლექტების წყარო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მათ სისტემაში შემავალ საჯარო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმისწარმოების მდგომარეობის, საქმეთა ფორმირების, დოკუმენტების აღრიცხვის მდგომარეობის, მათი დამუშავების ხარისხის და დაცვის კონტროლის უზრუნველსაყოფად. დაწესებულებათა საქმისწარმობისა და არქივზე პასუხისმგებელი პირებისთვის ჩატარდება სემინარი, მეცადინეობები _ საარქივო საკანონმდებლო ბაზის, საარქივო წესების შესწავლის, მისი პრაქტიკული გამოყენების მიზნით. გაგრძელდება მუშაობა იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების, მოქალაქეების პირადი წარმოშობის დოკუმენტების გამოსავლენად, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნული საარქივო ფონდის შევსების წყაროებს.

## IV ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების გამოყენება

2023 წლისათვის დაგეგმილია 4 გამოფენის მოწყობა, მათ შორის საარქივო სამმართველოში 2 გამოფენა, ტერიტორიულ ორგანოს არქივებში 2 გამოფენა. 2023 წელს გეგმით გათვალისწინებულია 2 ტელე-რადიო გადაცემის მომზადება: სამმართველოში -2 , ტერიტორიულ ორგანოს არქივებში 0 გადაცემა . საარქივო სამმართველოს სპეციალისტთა ძალებით, საარქივო მასალებზე დაყრდნობით, მომზადდება და გამოქვეყნდება აჭარაში არსებულ გაზეთებში და ჟურნალ ,,არხეიონში" სულ 6 სტატია, მათ შორის: სამმართველოში 5 სტატია , ტერიტორიულ ორგანოს არქივებში 1 სტატია.

ჩატარდება საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში 10 ექსკურსია-გაკვეთილი . მათ შორის სამმართველოში 3 ექსკურსია, ტერიტორიულ ორგანოს არქივებში - 7 ექსკურსია-გაკვეთილი.

მომზადდება და გამოიცემა სამმართველოს მიერ 2023 წელში სამეცნიერო ჟურნალი ,,არხეიონ"-ის ერთი ნომერი.

მომზადდება 2 თემატური ნუსხა. 2023 წელს მომზადდება 1 საინიციატივო ინფორმაცია.

2023 წელს ჩატარდება 4 ღონისძიება: აქედან სამმართველოში 4 , ხოლო ტერიტორიულ ორგანოს არქივებში 0 ღონისძიება

**გაგრძელდება მუშაობა უცხო ქვეყნის არქივებში არსებული საქართველოსა და აჭარის (ბათუმის) შესახებ დოკუმენტების ქსეროასლების შემოტანაზე, ბაქოს, ვარშავის, ოდესის, კიევის, ლიტვის და რუსეთის არქივებიდან.**

მომზადდება და გამოიცემა 2022 წლის ანგარიში-ბუკლეტი. (დანართი IV.10-17).

## V _ საქმეთა დიგიტალიზაცია

2023 წელს გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, გაგრძელდება მუშაობა სამმართველოს არქივში დაცული ქაღალდსაფუძვლიანი დოკუმენტების ციფრულ მატარებელზე გადასატანად. 2023 წლისთვის დაგეგმილია სულ 109 ფონდის 15960 საქმის 2. 300 00 გვერდის (ფაილი) ციფრულ მატარებელზე გადატანა. აქედან სამმართველოს ცენტრალურ არქივში 27 ფონდის 2522 საქმის, 1.800 000 ხოლო ტერიტორიულ ორგანოს არქივებში სულ 82 ფონდის 13338 საქმის 624 778 ფაილს. აქედან ქობულეთის არქივში 7409 საქმის 100 000 ფაილს;

ხელვაჩაურის არქივში 1950 საქმის 100 000 ფაილს; ქედის არქივში 1516 საქმის 85365 100 000 ფაილს; შუახევის არქივში 966 საქმის 100 000 ფაილს; ხულოს არქივში 1497 საქმის 100 000 ფაილს. სულ 2023 წელს დასკანერდება და დარედაქტირდება 2.300 000 გვერდი (დანართი V.20)

## VI _ მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარება

აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება _ საარქივო სამმართველოსა და მის ტერიტორიულ ორგანოს არქივების (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მიზნით 2023 დაგეგმილია, სხვადასხვა საქონლის მომსახურეობისა და სამუშაოების შესყიდვა. კერძოდ: კომპიუტერული ტექნიკისა და მარაგის შეძენა, ინტერნეტ მომსახურეობის შესყიდვა, საწვავის შეძენა _ სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის და ა. შ.

2023 წელს გათვალისწინებულია სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის დაცვა ცოცხალი, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით და სამმართველოს შენობისა და მისი ტერიტორიულ ორგანოების დაცვის საგანგაშო სიგნალით (პულტით) მომსახურეობასთან დაკავშირებით. ასევე გათვალისწინებულია ავეჯის, საკანცელარიო ნივთების შეძენა და სხვა.

სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი